

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას

კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის  
პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში

**ჰაიდელბერგცემენტი**  
**HEIDELBERGCEMENT**

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ. № 2.

2021

კასპის ცემენტის ქარხნა ფლობს ორ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას:

ობიექტი	ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება
კასპის ცემენტის ქარხანა - ძველი ხაზი (სველი მეთოდი)	N 79 09.09.09	#N2 – 677 15/08/2018
კასპის ცემენტის ქარხანა - ახალი ხაზი (მშრალი მეთოდი)	N 32 10.05.17	#N2 – 654 09/08/2018

საწარმო ასევე ფლობს ძველი კლინკერის ხაზის სარეზერვოდ შენარჩუნების სკრინინგის გადაწყვეტილებას (N2 – 27 14/01/2019).

2020 წლის დასაწყისში, მოხდა ერთი სხველი მეთოდის ღუმელის (ხაზის კლინკერის N3 ღუმელის) დემონტაჟი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილებით“ (N2 – 352 23/04/2020) მოხდა ძველი დემონტაჟი. ამჟამად დაგეგმილია დარჩენილი ორი სველი მეთოდის ღუმელების დემონტაჟი.

წინამდებარე პროექტით ექსპლუატაციის პირობები იცვლება კასპის ცემენტის ქარხნის ძველ ხაზზე (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება #N2 – 677 15/08/2018; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 79 09.09.09). დემონტაჟი ხორციელდება მხოლოდ ძველი ხაზის ღუმელების (დეტალურად აღწერილია თანდართულ დემონტაჟის პროექტში) და არ ხდება სრულად სველი მეთოდის კლინკერის ხაზის დემონტაჟი.

ობიექტის დასახელება	შპს “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს კასპის ცემენტის ქარხანა
ობიექტის მისამართი:	
ფაქტიური	ქ. კასპი, ფარნავაზის ქ. №2
იურიდიული	ქ. თბილისი, ლორთქიფანიძის ქ. №4
საიდენტიფიკაციო კოდი	230866435
GPS კოორდინატები	X= 451692; Y= 4640826.
საწარმოს ხელმძღვანელი	დავით ალუღიშვილი
საკონტაქტო პირი:	
გვარი, სახელი	სუხიტაშვილი ნინო
ტელეფონი	+995 555 177 699
ელ-ფოსტა	Nino.sukhitashvili@heidelbergcement.ge
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ცემენტის წარმოება
გამომწვებული პროდუქციის სახეობა	ცემენტი, კლინკერი

## ***N 1 და N 2 ღუმელის დემონტაჟი***

დაგეგმილია კლინკერის წარმოების ძველი ტექნოლოგიური ხაზის (სველი მეთოდი) N 1 და N 2 მზრუნავი ღუმელის დემონტაჟი, რომლებიც სარეზერვოდ იყო შენარჩუნებული, თუმცა დღესდღეობით ამის საჭიროება აღარ არსებობს. დემონტაჟის შემდგომ მოხდება მათი ნაწილებად გაყიდვა. N 1 და N 2 ღუმელი მდებარეობს საწარმოს შუა ნაწილში, უახლოესი მოსახლისგან 200 მეტრის მანძილზე (იხ. სურათი 1) . დემონტაჟი განხორციელდება დღის საათებში.

### **დემონტაჟის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები**

დაგეგმილი საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება არასახიფათო, სამშენებლო ნარჩენები (ცეცხლგამძლე აგურები და ბეტონის ნამტვრევები), რომელთა მართვა მოხდება ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად.

წარმოქმნილი ნარჩენებიდან რკინის კონსტრუქციები დაიჭრება, დროებით დასაწყობდება საწარმოში და შემდეგ გაიყიდება.

საქმიანობის განხორციელებამდე მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის განახლება.


### **ხმაური**

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს N 1 და N 2 ღუმელის შიდა ნაწილში და ფუნდამენტებზე მუშაობას პნევმატური ტექნიკით, რაც შეესაბამება საწარმოში მუდმივად მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს. შესაბამისად, დემონტაჟის პროცესში წარმოქმნილი ხმაური იქნება გეგმიური სარემონტო სამუშაოების დროს წარმოქმნილი ხმაურის დონის. დემონტაჟში მონაწილე პერსონალი აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

### **ნიადაგი**

დემონტაჟის პროცესი დაგეგმილია არსებული საწარმოს ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს (მოედანი მობეტონებულია). შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობას ნიადაგზე რაიმე ზემოქმედება არ ექნება.

დემონტაჟის დეტალური პროექტი თანდართულია განცხადებაზე.



სურათი 1. N 1 და N2 სადემონტაჟო ღუმელის დაშორების მანძილი მოსახლეობამდე

საქმიანობის შეფასება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის კრიტერიუმების მიხედვით:

N	საკითხი	ადგილი აქვს თუ არა გარემოზე ზემოქმედებას		კომენტარი
		დიახ	არა	
<b>1 საქმიანობის მახასიათებლები</b>				
1.1	საქმიანობის მასშტაბი		✓	დაგეგმილი ცვლილება განხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე.
1.2	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		✓	საწარმოს ტექნოლოგიური ხაზი და მისი მუშაობის პრინციპები არ იცვლება, შესაბამისად ადგილი არ ექნება არსებულ/დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციურ ზემოქმედებას.
1.3	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		✓	დაგეგმილი ცვლილები სპეციფიკიდან გამომდინარე არ ითვალისწინებს ახალი ტერიტორიების ათვისება.
1.4	ნარჩენების წარმოქმნა	✓		სადემონტაჟო სამუშაოების დროს წარმოიქმნება დიდი რაოდენობით არასახიფათო სამშენებლო ნარჩენი, ცეცხლგამძლე აგურისა და ბეტონის სახით, რომელთა ქარხნის ტერიტორიიდან სპეციალიზებულ ნაგავსაყრელზე იქნება გატანილი, ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით.
1.5	გარემოს დაბინძურება და ხმაური		✓	საწარმოს ტერიტორიის შუა მონაკვეთზე, უხლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით, დემონტაჟი განხორციელდება დღის საათებში, ხმაურის დონე არ გადააჭარბებს 95 დეციბელს. წარმოიქმნება მცირე რაოდენობით მტვერი, თუმცა დაგეგმილი საქმიანობა გარემოს დაბინძურებისა და ხმაურის ზრდას არ გამოიწვევს. არსებული ტექნოლოგიური ხაზის ადგილმდებარეობა და მუშაობის პრინციპი არ იცვლება. იქიდან გამომდინარე რომ შემცირდება ემისიის წყაროები შემცირდება ემისიები ატმოსფერულ ჰაერში.
1.6	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		✓	საქმიანობა არ არის დაკავშირებული მასშტაბურ ავარიასთან ან/და კატასტროფის რისკთან. ყველა შესაძლო რისკი და მათზე რეაგირებების მეთოდები მოცემულია თანდართულ დემონტაჟის პროექტში.
<b>2 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა</b>				
2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		✓	დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკიდან გამომდინარე ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		✓	დაგეგმილი ცვლილების სფეციფიკიდან გამომდინარე შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.

2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		✓	დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკიდან გამომდინარე მცენარეულ საფარზე და წითელი ნუსხის სახეობებზე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.
2.4	დაცულ ტერიტორიებთან		✓	დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკიდან (არსებული საწარმოს ტერიტორია) გამომდინარე დაცულ ტერიტორიებზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი არ არსებობს.
2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		✓	არსებული ტექნოლოგიური ხაზის ადგილმდებარეობა და მუშაობის პრინციპი არ იცვლება. უახლოესი საცხოვრებელი სახლი სადემონტაჟო ღუმელებიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით მდებარეობს, შესაბამისად არ არსებობს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე ზემოქმედების რისკი.
2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		✓	დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის გათვალისწინებული ახალი გარე დამატებითი ტერიტორიების ათვისება ან გათხრითი სამუშაოების ჩატარება, შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან დაკავშირებული ნეგატიური ზემოქმედების რისკი არ არსებობს.
<b>3 საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:</b>				
2.8	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		✓	არსებული ცვლილება სპეციფიკიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ხასიათის ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის.
2.9	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		✓	არსებული ცვლილება გარემოზე ზემოქმედების რისკების მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებული არ არის.